წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | შაბათი, მაისის 6, 1917 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებითი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 97 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 97

# სესხი თავისუფლებისა

**მოქალაქენო!** სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია.

მტრის მოსაგერებლად, რევოლიუციით შეძენილ **თავისუფლების** განსამტკიცებლად—საჭიროა ფული, ბევრი ფული.

დროებითი მთავრობა პირველად მოგმართავთ, თავისუფალ რუსეთის მოქალაქენო და გთხოვთ გაუმაგრეთ ზურგი, რათა ებრძოლოს ძლიერსა და შეუბრალებებელს მტერს, რათა განამტკიცოს დემოკრატიული წესწყობილება. ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნების მამულიშვილნო! გულგრილად ვერ მოიქცევით როცა ემუქრებიან ჩვენს თავისუფლებას აქედან თუ იქიდან, ემუქრებიან იმ ჩვენს **თავისუფლებას**, რომელიც შეგვიძენია მით, რომ გაგვიწირავს სიცოცხლე რუსეთის საუკეთესო შვთა, უნდა აღვიძრნეთ მის დასაცველად. რადგან მტერთან საბრძოლველად, თავისუფლების დასაცველად საჭიროა ნივთიერი ღონისძიება,—უნდა გამოვიღოთ ეგ ღონისძიება და გამოვიღებთ კიდეცა.

მოქალაქენო! გამარჯვება სესხისა დაამტკიცებს, რომ გვწამს რევოლიუცია. საჭიროა მთელმა ქვეყნიერებამ შეიგნოს, რომ რუსეთის მამულიშვილებს სწამთ რევოლიუცია. მაშინ ქვეყნიერებაც იწამებს რევოლიუციას. მაშინ თავისუფლების განმტკიცებაც გაადვილდება.

მოქალაქენო! განცხადება დროებითის მთავრობისა, მოაწერეთ ხელი თავისუფლების სესხზედ, მოწოდებაა, ჩვენის მოქალაქობრივი გრძნობის აღძვრაა და ჩვენც, ქვემორე ამისა ხელის-მომწერი პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები ვიზიარებთ მაგ მოწოდებას, აღვიძვრნეთ მამულისა და თავისუფლების დასაცველად.

მაშ, აღასრულეთ მოვალეობა სასახელო და საპატიოსნო.

მოაწერეთ ხელი თავისუფლების სესხსა და დაეხმარეთ დროებითს მთავრობას — მოიგერიოს მტერი და ბოლომდე მიიყვანოს ქვეყნის გადემოკრატების საქმე **თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობის** საფუძველზედა.

**გამოიტანე, ერო თავისუფალო, შენი დაზოგილ-დაუნჯებული დიდის საერო და საშვილიშვილო საქმის დასაცველად.**

საზოგადო კომიტეტი თავისუფლების სესხისა
ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი სოციალისტ რევოლიუციონერებისა
საოლქო კომიტეტი რუსეთის სოც. დემოკრატიულ პარტიისა
თბილისის ცენტრალური კომიტეტი დაშნაკციუტუნისა
თბილისის საქალაქო კომიტეტი ხალხის თავისუფლების პარტიისა

ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი
მუშათა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი
თბილისის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტი
საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი
ქართველ ს.-ფედერალისტების სარევოლიუციო პარტიის თბილისის კომიტეტი

## თბილისი, მაისის 6.

# პროვოკაციასთან ბრძოლა და პარტიათა შეთანხმება

ამ ბოლო დროს საქართველოს სხვა და სხვა ადგილას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად ისეთი ამბები ხდება, რომ მოქალაქეთა თავისუფალი და უშიშარი ცხოვრება პირდაპირ განსაცდელში არის.

საზიზღარ ცილსა სწამებენ ამა თუ იმ პარტიას ან და მთელ ერსაც. ამ ცილისწამებას განსაკუთრებით ჯარისკაცებში ქადაგებენ და პროვოკაცია მითი სრულდება, რომ გაბრაზებული ბრბო არბევს პოლიტიკურ პარტიებს და შიშის ზარს სცემს მთელ ქალაქს.

ის აწიოკება, რომელიც ამ დღეებში ქუთაისმა განიცადა და რომელსაც თვით ქუთაისის ჯარის კაცთა რუსული გაზეთი „პოგრომს" უწოდებს, მეტად დამაფიქრებელი მოვლენა არის.

ქუთაისში აიკლეს ფედერალისტების სადგომი, ქართული გიმნაზია, დააპატიმრეს სტუდენტები და ისეთი თავზარი დასცეს მშვიდობიან მოქალაქეთ, რომ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული გახდა იმ დღეებში გამოცხადებული საფუძნო საქალაქო არჩევნები სხვა დროისთვის გადაედო. მთელი ქართული პრესა და საზოგადოება განურჩევლად პარტიობისა, შეერთდა ამ დარბევის სასტიკ გაკიცხვაში.

პარტიების დარბევა, ხალხის აწიოკება და ტერორი—ყველა ეს ანარქიის დაწყებას მოასწავებს. დღეს ერთი პარტია დაარბიეს—დღეს ერთ ეროვნებას ემუქრებიან,—მაგრამ ვინ არის თავმდები, რომ ხვალ ან ზეგ იგივე ბრბო მეორე პარტიას, ან მეორე ეროვნებას არ დაუმზადებს „ბართლომეს ღამეს"? და ეს ხომ უნოყიერესი ნიადაგი არის კონტრ-რევოლიუციის აღმოცენებისათვის!

ჩვენ კარგათ ვიცით რითი სარგებლობენ პროვოკატორები. ეს ნათქვამი აქვს გარკვევით გაზეთ „ერთობას":

„პირველი, მასსის შეუგნებლობა და განუვითარებლობა. ხალხის დიდმა ნაწილმა არ იცის რას ეწოდება ადამიანის პიროვნების და რწმენის პატივისცემა, მისი ხელშეუხებლობა და ასე იოლათ ეგება ქვენა გრძნობათა გამღიზიანებელ აგიტატორების ანკესზე.

განა შეიძლება რომელიმე პარტიულ რწმენისათვის ადამიანის ან ორგანიზაციის დარბევა, თუ მას კონტრ რევოლიუციური მოქმედება არ ჩაუდენია? განა შეიძლება დასჯა ადამიანისა, თუ მის შესახებ სასამართლოს ან რევოლიუციურ ორგანოს თავის მსჯავრი არ გამოუტანია! ძველმა რეჟიმმა გვიანდერძა მხოლოდ პოლიციური და ჟანდარმული ფორმები „კრამოლასთან" ბრძოლისა: ჩხრეკა, პატიმრება, შეურაცხყოფა განურჩევლად და განუკითხავათ... შეუგნებელი მასსა ხშირათ სდევნის მათ, ვისი რწმენაც მას არ მოეწონა!"

ყოველივე ეს მართალია, მაგრამ მარტო მიზეზთა გარკვევა და ანალიზი არ კმარის, საჭიროა ზომები, ზომებია საჭირო, ზომები ძირითადი, რადიკალი ხასიათისა.

ქუთაისის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს „განსაკუთრებული დროებითი კომიტეტი" დაუარსებია, რომლისთვისაც გადაუცია სრული უფლება ყოველგვარ უწესოების მოსპობისა. „დროებით კომიტეტს" ჯერ-ჯერობით აუკრძალავს: ყოველგვარი შეჯგუფება ქუჩებში, ყოველგვარი გამოსვლა კერძო პირებისა ანდა ჯგუფების წინააღმდეგ და ღვინით ვაჭრობა. ერთი სიტყვით, ქუთაისში „განსაკუთრებული, გაძლიერებული დაცვის" წესები შემოუღიათ.

მერე კმარა ესა?—ვგონებთ, რომ არა... განსაკუთრებული დაცვის წესი პალიატიური წამლობა არის... აქ კი ქირურგია არის საჭირო.

ამ მხრივ სრულებით საღ ნიადაგზედ სდგას სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ავტონომისტური გაზეთი „ალიონი", როდესაც იგი ამბობს:

„ჩვენის აზრით, წესიერება, მშვიდობა და მოქალაქობრივი ცხოვრება რომ სავსებით და მტკიცედ იქნეს უზრუნველყოფილი, საჭიროა მომქმედ პარტიათა შორის ერთგვარი შეთანხმება მოხდეს და ამ შეთანხმების გამომხატველი რაიმე პრაქტიკული ცენტრი, შემთანხმებელი ორგანო დაარსდეს. უამისოდ ექსცესებს კიდევ უნდა მოველოდეთ, უამისოდ რევოლიუციას ჩვენში სახელი გაუტყდება".

„ალიონის" წინადადება, როგორც სჩანს, ამ ჟამად ყველა პარტიისათვის მისაღები არის.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „ერთობა"ც ემხრობა იმ აზრს, რომ საპარტიათაშორისო ორგანოს შეუძლია „დიდი გავლენის მოპოვება, მას განსაკუთრებული გავლენა ექნება მთელ საქართველოში და შინაური და გარეული ყველა ანგარიშს გაუწევს მას".

მართალია „ერთობა" არ სწყრავს საკითხს მარტოოდენ პარტიათა შეთანხმების საშუალებით, მაგრამ იგი ნათლად აღიარებს მის აუცილებლობას:

„**ასეთი შემთანხმებელი ორგანოს სარგებლობა აშკარაა**, მარა ჩვენ ამ შეთანხმებას ასეთ დიდ როლს ვერ მივაწერთ. საკმარისია, თუ იგი პარტიათა შორის გამწვავებულ ურთიერთობას დააწყნარებს და პარტიულ ბრძოლას უფრო ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებსო".

ჩვენის აზრით ეს მოსაზრებაც ცხადჰყოფს, რომ თუ პოლიტიკური პარტიები არ შეთანხმდნენ, სხვა გამოსავალი დღევანდელ პირობებიდან ქართველი საზოგადოებისათვის არ არსებობს.

# რევოლუცია

## დეპეშები

### მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა.

**პეტროგრადი.** მაისის 3. საღამოთი შესდგა სხდომა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსი. სკობელევმა კრებას აცნობა, რომ აღმასრულებელ კომიტეტს განუწყვეტელი მოლაპარაკება აქვს დროებით მთავრობასთან და რომ საერთოდ მათ შორის უკვე მოხდა შეთანხმება; ეხლა ლაპარაკი არის წვრილ საკითხების შესახებ. კრებას მოხსენდა, რომ ბრძოლის ასპარეზის მრავალ დელეგატს ჰსურს მიესალმოს საბჭოს. საზღვაო ოფიცერთა კავშირის სახელით საბჭოს მიესალმა შავის ზღვის ფლოტის ოფიცერი ნოსოვი, რომელიც, სხვათა შორის, ეკითხება საბჭოს თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ პეტროგრადის მეციხოვნე ჯარმა არ მიიღო ფიცი და არ ირწმუნა დროებითი მთავრობა, ის მთავრობა, რომელიც ხალხის სრული ნებით იქმნა აღიარებული.

შემდეგ ნოსოვი აღნიშნავს, რომ ორმთავრობა და მრავალმთავრობა ხელს უშლის დროებით მთავრობის მუშაობას; რუსეთში ამ ჟამად 300,000 გერმანელი ჯაშუში ბუდობს და თუ მათ წინააღმდეგ ენერგიული ზომები არ იქმნა მიღებული—გერმანელები ფეხით გასთელავენ მოპოვებულ თავისუფლებასო. ნოსოვს უპასუხა სტეკლოვმა, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა, რომ პეტროგრადის მეციხოვნე ჯარმა არ მიიღო ფიცი მხოლოდ იმიტომ, რომ თვით ტექსტი ფიცისა მისაღები არ იყო. ორმთავრობა არ არის. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ სრული ნდობა გამოუცხადა დროებით მთავრობასო. თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ კრებაზე დასასწრებლად მოსულა 165 წარმომადგენელი შავი ზღვის ფლოტისა. კრება ტაშით ეგებება მეზღვაურებს. მათი სახელით საბჭოს მიესალმა მეზღვაური ბატკინი, რომელმაც მოუწოდა ყველას შეერთებისა და საერთო მუშაობისათვის. მან, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ, მეზღვაურნი, შმიდტისა და იატიუშენკოს შთამომავალნი, წმინდად ვინახავთ ჩვენ ძვირფასს საგანძურს რევოლიუციას და არავის არ დაუთმობთ რუსეთის თავისუფლებას. ჩვენ ყველა ვიცავთ და შემდეგშიაც უნდა ვიცავდეთ ამ თავისუფლებას".

ბატკინი აღნიშნავს ბოლშევიკების შეცდომას და იმედოვნებს, რომ მალე ყველა შეერთდება ერთს მტკიცე და ურყეველ ნიადაგზე.

სხდომის და სასრულ კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა შმიდტის, მატიუშენკოს და თავისუფლებისთვის დაღუპულ სხვა მებრძოლთა ხსოვნას.

### ლენინის წინააღმდეგ.

**სიმფეროპოლი,** მაისის 3. ხმები დადის, რომ ლენინი ევპატორიაში აპირებს მისვლასო. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭომ დაადგინა, რომ რადგან ლენინის ჩამოსვლა არა-სასურველია, ამიტომ ეთხოვოს ადგილობრივ ჯარის უფროსს მიიღოს ყოველივე ღონისძიება, რომ ლენინი ქალაქში არ შეუშვან და თუ იგი როგორმე მაინც ქალაქს ესტუმრა—დაატუსაღონ და გაიძევნონ.

### სააგრარო მოძრაობა.

**კიშინიოვი,** მაისის 2. რადგან სოროვის მაზრაში არეულობა არა სცხრება, ამიტომ მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების ბელეცკის საბჭომ დაადგინა, გაგზავნილ იქმნას სოროვის მაზრაში რაზმი არეულობის ჩასაქრობად.

### სამღვდელოება.

**სიმბირსკი,** მაისის 3. საგუბერნიო საბჭომ დაადგინა: საეპარქიო მისია დაარსოს. გააუქმოს კეთილმოწესეობა და მის ადგილას დააწესოს საოლქო ძმობის საბჭო, რომელიც მრევლსა და სამღვდელოების საქმეს განაგებს. საჩუქრები გაუქმებულია.

### გენერლების წასვლა პეტროგრადიდან.

**პეტროგრადი,** მაისის 4. პეტროგრადიდან წავიდნენ გენერლები: გურკო, ბრუსილოვი, ალექსეევი, შჩერბაჩევი და დრაგომიროვი.

### სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების ყრილობა.

**პეტროგრადი,** მაისის 4. დაიწყო სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატთა წარმომადგენლების ყრილობა. კრებას 561 დეპუტატი დაესწრო. კრებამ საპატიო თავმჯდომარედ ამოირჩია ბრეშკო-ბრეშკოვისა. სასურველ ზავის მოსაპოვებლად საჭიროა მედგარი ბრძოლაო— წარმოსთქვა ბრეშკო-ბრეშკოვსკისამ. მეორე საპატიო თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ჩერნოვი, რომელმაც მომავალ სააგრარო პოლიტიკის ძირითად საფუძვლად მიწის განთავისუფლება აღიარა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ავქსენტიევი ფრანგმა მინისტრმა ტომამ საფრანგეთის გლეხობის მხრივ კრებას სალამი გადასცა. შინგარევმა სრული იმედი გამოსთქვა, რომ ხალხი საჭირო პურს უსათუოდ მიაშველებს არმიასო.

### უწესოება რკინის გზებზე

**დონის-როსტოვი.** მაისის 3. როსტოვის რკინის გზათა კავშირის სამმართველოს მრავალი დეპეშა მოსდის იმ უწესოების შესახებ, რომელსაც ახდენენ ჯარისკაცები ვლადიკავკავის რკინის გზის სადგურებზე. ჯარისკაცები მატარებელთა მოძრაობის საქმეში ერევიან. რკინის გზის მოსამსახურეთ სიკვდილით ემუქრებიან, თუ მათს მოთხოვნილებას წინააღმდეგობა გაუწიეს. ამიტომ სადგურ მინერალნი ვოდის მოსამსახურეთ სამსახურზე უარი განაცხადეს.

ჯარისკაცები ბრუნდებიან სახლში და გზა და გზა სადგურის უფროსების განკარგულებებს წინააღმდეგობას უწევენ. სად. დოლინზე ჯარისკაცებმა ძალით შეაჩერეს მატარებელი, რომელიც მათს წინ მიდიოდა. ამ უკანასკნელზე ბევრი ჯარისკაცებიც აჯანყდნენ. სადგურის აგენტები თხოულობენ დამცველ რაზმებს. კოტლიარევის სადგურზე დაატუსაღეს სადგურის უფროსი და სხვა მსახურთაც ემუქრებიან. კავშირი სთხოვს დეპუტატთა საბჭოს მიიღოს შესაფერი ზომები.

### უწესოებანი.

**იალტა.** მაისის 3. ურუმაში ამბოხებულ ბრბომ, რომელსაც შეადგენდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი და აგრეთვე ბრძოლის ასპარეზიდან დაბრუნებული ჯარისკაცნი, დაატუსაღა მაზრის კომისარი, ცნობილი მოქალაქენი და ყოფილი პოლიციელნი. საქმის გამოსაძიებლად გაიგზავნა რამდენიმე წევრი საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტისა.

### უწესოება ნიჟნი-ნოვგოროდში:

**ნიჟნი-ნოვგოროდი,** მაისის 3. აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე გამოირკვა, რომ ქალაქის და მთელი მაზრის მდგომარეობა მეტად საშიშს ხასიათს იღებს: მოწინწილე ბრბოები არბევენ მცხოვრებლებს, მილიცია მცირეა და ვერც ასრულებს თავის მოვალეობას ჯეროვანად. დადგენილია დაარსდეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალება საქალაქო მილიციის შედგენა და სამაზრო კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა.

### ეკატერინე მე-II სურათის დახევა.

**კიშინიოვი.** მაისის 3. ადესელ მეცხოვნეთა დელეგაციამ გაანადგურა რამდენიმე ათიათას მანეთად ღირებული ეკატერინე მეორის სურათი, რომელიც ბესარაბიის თავად აზნაურობას ეკუთვნოდა.

# მინისტრების გადადგომა

### მილიუკოვის წასვლა.

**პეტროგრადი.** მაისის 3. დილიდანვე მთელი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა მილიუკოვის წასვლას. დღისით გამოირკვა, რომ მილიუკოვმა შეუძლებლად სცნო დროებით მთავრობის წევრად დარჩეს. თუმცა ყველა წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ შესაძლებელია დაარწმუნონ მილიუკოვი მიიღოს სახალხო განათლების მინისტრის პორტფელი. თვით დროებით მთავრობის წევრნი ადასტურებენ, რომ მილიუკოვი მათთვის აუცილებელი პიროვნებაა,

### რა გზას ადგანან სხვა მინისტრები.

შინგარიოვისა და მანუილოვის წასვლა ჯერ არ არის გამორკვეული. გამოირკვა მხოლოდ, რომ ნეკრასოვი დარჩება, თუნდაც კ.-დ. პარტიის სხვა წარმომადგენლებმაც მიატოვონ დროებითი მთავრობა.

მთელი დღის განმავლობაში დროებითი მთავრობის სხდომები არ შეწყვეტილა. საღამოს 6 საათისთვის შესდგა შეერთებული სხდომა დროებით მთავრობის, სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტის და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლებისა. კრების გახსნისათვის დროებით მთავრობას დაემზადებინა დეკლარაცია. თავ. ლვოვმა განაცხადა, რომ დეკლარაციაში არის მთელი რიგი მოთხოვნილებათა და პირობათა, რომელთა მიღება მთავრობისათვის აუცილებელია, თუ მას ნაყოფიერი მუშაობა ჰსურს. ერთი უმთავრესი პირობათაგანია—შეიმუშაოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ კატეგორიული განცხადება შესახებ იმისა, რომ იგი დროებით მთავრობას სრულს ნდობას უცხადებს. დეკლარაციის პროექტი შედგენილია ნეკრასოვის მიერ და შეადგენს 8 მუხლს. დაცულია მტკიცედ პრინციპი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისა, ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე აგებული. ამასთანავე დეკლარაციაში ნათქვამია, რომ რუსეთის დამარცხება ხალხს დიდს უბედურებას მიაყენებს. ამიტომ მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ რევოლიუციონური ჯარი მთელის ძალ-ღონით წინააღუდგება რუსეთის მოკავშირეთა სახელმწიფოებრივ ცხოვრების დარღვევას.

ბოლოს დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს როგორმე მოაწესრიგოს მიწის საკითხი და ეცდება მიწა გადავიდეს დამფუძნებელ კრების ხელში.

თავ. ლვოვმა განაცხადა, რომ დეკლარაციას ულტიმატიური ხასიათი აქვს და დაბეჯითებით ითხოვა, რომ იგი სრულიად იქმნეს მიღებული.

### პორტფელების დანაწილება.

**პეტროგრადი,** მაისის 3. ღამის 11 საათზე დამთავრდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების და დროებით მთავრობის შეერთებული სხდომა. დეკლარაცია მიღებულ იქმნა ზოგად სარედაქციო შესწორებით. დეკლარაციას ხელს მოაწერენ 12 საათზე; ამ დროისათვის დანიშნულია ხელმეორე სხდომა. გადაწყვეტილია ამავე სხდომაზე დასვან საკითხი იმ პირთა შესახებ, რომელნიც კაბინეტში სოციალისტების მხრივ იქნებიან.

სოციალ-დემოკრატების მხრივ იქნებიან: სკობელევი და მალიანტოვიჩი, სახალხო სოციალისტების მხრივ—ჩერნოვი და პეშეხონოვი. დროებით მთავრობის შემადგენლობაში მეხუთე სოციალისტი კერენსკი იქნება.

ღამის 1 საათზე მოხდა შეთანხმება მინისტრთა შორის პორტფელების განაწილების შესახებ: მიწადმოქმედების მინისტრად იქნება—ჩერნოვი, შრომის—სკობელევი, გარეშე საქმეთა—ტერეშჩენკო, სამხედრო-საზღვაო—კერენსკი. გამოითქვა სურვილი დროებით მთავრობაში მიწვეულ იქმნას წერეთელიც. გადასწყდა აგრეთვე მიწვეულ იქმნას პროფ. კოკოშკინი, რომელსაც დამფუძნებელ კრების მომწვევ სამინისტროს გამგებლობა დაეკისრება. არის კიდევ ერთი პროექტი—სოციალურ უზრუნველყოფის სამინისტროს დაწესება. ამ სამინისტროს პორტფელი გადაეცემა კადეტთა პარტიის წარმომადგენელს. შემდეგ განიხილეს საკითხი შინგარიოვის პორტფელის შესახებ, მაგრამ ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ. დეკლარაციას ხელი მოაწერეს.

### თავრიდის სასახლეში

**პეტროგრადი.** მაისის 4. თავრიდის სასახლეში, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის კაბინეტში როძიანკოს თავმჯდომარეობით სათათბიროს წევრთა კერძო თათბირი მოხდა. თათბირს სხვათა შორის დაესწრნენ გუჩკოვი და მილიუკოვი. მათ ტაშით შეეგებნენ. ორივე დეპუტატმა ის მოტივები მოახსენა კრებას, რომლითაც აიძულეს ისინი დროებითი მთავრობისთვის თავი დაენებებიათ. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „სახელმწიფო სათათბიროს წევრთა თათბირი მიმართავს დროებით მთავრობას და მოაგონებს მას, რომ გარეშე პოლიტიკის ძირითადი დებულება ძველებურად უნდა იყოს ის განწყობილება, რომელიც არის დამყარებული რუსეთსა და მის მოკავშირეთა შორის, რადგან ამ განწყობილებაზეა დღეს დამყარებული რუსეთის ინტერესები და მისი მომავალი".

# ომი და ზავი

## დეპეშები

### მთავარ-ბანაკის ცნობა

**პეტროგრადი,** მაისის 4. **დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ასპარეზი.** კლაპასოვის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთის რაიონებში (უზნუედან მე-5 ვერსის მანძილზე) ოსმალთა მზვერავები გავფანტეთ. აპრილის 26-ს ზემედის რაიონში (კასრი-შირინის აღმოსავლეთით 25 ვერსის მანძ.) ჩვენს მესაზღვრეთა და ყაზახთა რაზმს ქურთები შემოეხვივნენ. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა გაარღვიეს რკალი და 15 მოკლული და დაჭრილი დასტოვეს. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

### საფრანგეთის მთავარბანაკის ცნობა.

**პარიზი.** მაისის 3. **საღამოს ოფიციალი ცნობა.** გერმანელებს სასტიკი იერიში მოჰქონდათ ლაფოს წისქვილის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში, სუასონ-ლონის რკინის გზამდე. მტერი დიდათ დაზიანებული უკუ ვაქციეთ. მარჯვე კონტრიერიშებით ზოგიერთი პუნქტები ხელთ ვიგდეთ. ტყვეები წამოვიყვანეთ. დაჭრილები საავადმყოფოებში დავგზავნეთ. კრონის უბანში დიდი საარტილერიო ბრძოლაა. ასპარეზის დანაშთენ ადგილებში სრული სიწყნარე ჰსუფევდა.

**მფრინავთა მოქმედება.** მაისის ორს, ჩვენმა ორმა მფრინავმა გერმანელთა 3 საფრენი ჩამოაგდო.

**პარიზი.** მაისის 3. **ახლო აღმოსავლეთი.** დოირანის ტბის დასავლეთით. კრესტნია დაუტილის რაიონში ინგლისელმა ჯარმა 700 მეტრით წინ წაიწია. სარეა-დი-ლეგენის ჰაჯიბაირამის ასპარეზზე ოსმალები დიდათ დაზარალდნენ. ჩვენ პოზიციები კვლავ შევინარჩუნეთ. სერბიელნი მოულოდნელად თავს დაეცნენ გრატეშნიცას. ცუდი ამინდის მიუხედავად სერბეთის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლა ჰსწარმოობს.

**პარიზი,** მაისის 3. **დღის ოფიციალი ცნობა.** წუხელ საარტილერიო ბრძოლა იყო. დილით, ხანგრძლივ საარტილერიო მზადების შემდეგ ლაფოს წისქვილის რაიონში მტერი იერიშით წამოვიდა. მიუხედავად მტრის სასტიკ წინააღმდეგობისა იგი დიდად დაზარალებული უკუ ვაქციეთ. ბრძოლა ჰსწარმოებდა აგრეთვე ასპარეზის დანარჩენ ადგილებში. ობერივის, ავოკურის და ბერენკოვის რაიონებში მტრის მიერ მოულოდნელმა თავდასხმამ უშედეგოდ ჩაიარა. ზემო ელზასში, ერთი ჩვენი რაზმთაგანი, შეიჭრა მტრის თხრილებში, დაანგრია მისი სიმაგრენი და ტყვეებით უკან დაბრუნდა.

**ჰავრი.** მაისის 3. **ბელგეთის ასპარეზი.** რამსკაპელლეს რაიონში სტეენტრევს ჰეტზასის მიმართულებით საარტილერიო ბრძოლაა. სტეენსტრეტის ჩრდილოეთით მცირე ბრძოლა იყო.

### ინგლისის მთავარ-ბანაკის ცნობა

**ლონდონი.** მაისის 3. ოფიციალი. ახლად მიღებულის დამატებითი ცნობებით ბიულეკურთან არტილერიის და ყუმბარების სროლით გერმანელებმა ჩვენი განდევნა სცადეს. ჰინდენბურგის ხაზზე, რომელიც ჩვენს ხელთ არის, გერმანელები ოთხჯერ მედგარი იერიშით წამოვიდნენ. პირველი იერიში მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ დილის 4 საათზე მოიტანეს. მოპირდაპირემ მალე ხელთ იგდო ჩვენი თხრილები, მაგრამ კონტრ-იერიშით დიდათ დაზარალებული მალე გავდევნეთ. ჩვენგან წართმეულ თხრილებში მან 250 დაჭრილი და მოკლული დასტოვა. მცირე ხნის შემდეგ კვლავ იერიშით წამოვიდა ბიულენკურის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრის წინააღმდეგ, მაგრამ არტილერიის და თოფის შემწეობით მალე შევ ჩერეთ. მეოთხე იერიში მოტანილ იქნა სამხრეთით და სამხრეთ დასავლეთით. ამ უშედეგო იერიშების დროს გერმანელების ჯარი დიდათ დაზარალდა. დღეს სკარპის ნაპირებზე გერმანელთა არტილერია მხნედ ჰმოქმედებდა.

### მფრინავთა მოქმედება

გუშინ გერმანელთა ორი საფრენი ჩამოვაგდეთ, ორიც დაუზიანეთ. ჩვენც ორი ჰაეროპლანი დაგვაკლდა.

**ლონდონი,** მაისის 4 ოფიციალი. სკარპის ჩრდილო ნაპირებზე მტერმა სასტიკი იერიში მოიტანა, ბრძოლის მოწინავე ხაზებს წაგვართვა, მაგრამ მხნე კონტრ-იერიშით კვლავ დავიბრუნეთ წართმეული ადგილები და მტერიც დიდათ დავაზარალეთ. ბიულეკურის ჩრდილო აღმოსავლეთით ჩვენმა რაზმებმა წინ წაიწიეს.

### იტალიის მთავარ-ბანაკის ცნობა

**რომი.** მაისის 2. ოფიციალი. შუადღისას, ქვეითა ჯარის შემწეობით, ცუკის მთის კალთებისკენ, გორიცის წყაროს აღმოსავლეთით სიმაღლეებზე წინ წავიწიეთ. ამავე დროს, კარსოს ჩრდილოეთით ჩვენმა რაზმებმა მოპირდაპირის მოწინავე ხაზებს მიაღწიეს. დიდძალი ტყვე მოგვყავს საკონცენტრაციო ბანაკში.

**რომი.** მაისის 3. ოფიციალი. ბრძოლა გუშინ ენერგიულად სწარმოებდა. გორიცის ზევით, იზონცოზე გადავედით (ლოგას და ბოდრესის შუა), და ხელთ ვიგდეთ ბოდრესი „383" სიმაღლით ვოდევილეს და მენტე ცუკოს სიმაღლეებზე, აგრეთვე წინ წავიწიეთ მენტე სანტოს კალთებში, გორიცის აღმოსავლეთით. ხელთ ვიგდეთ „174" სიმაღლეც, რომელიც ტივოლის ჩრდილოეთით მდებარეობს. დღემდე წამოგვიყვანია 3375 ტყვე. მათ შორის 98 ოფიცერია. ამასთანავე ხელთ ვიგდეთ სამთო ბატარეა, 30 ტყვიის მფრქვეველი და მდიდარი სამხედრო დავლა.

### გერმანეთის მთავრობა და სოც-დემოკრატები

**სტოკჰოლმი.** მაისის 3. გერმანეთის მთავრობამ ს. დ. უმრავლესობას და უმცირესობას სტოკჰოლმში წასასვლელ პასპორტების მიცემაზე უარი უთხრა.

### ცხენის ხორცის ხმარება პარიზში

**პარიზი.** მაისის 3. ორშაბათობით და სამშაბათობით ხორცის ხმარება აკრძალულია. ცხენის ხორცი დღითი დღე ხმარებაში შემოდის.

### ტყვეების გაქცევა.

**სარატოვი.** მაისის 4. ნოვოუზენის მაზრაში სამუშაო ადგილებიდან 500 ტყვე გაიქცა.

### პური სარატოვის გუბერნიაში.

**სარატოვი.** მაისის 4. ორი კვირის განმავლობაში გუბერნიის სხვა და სხვა ადგილიდან მილიონი ფუთი პური შემოვიდა. ნოვოუზენის მაზრაში ბეღლები პურით არის სავსე. ხომალდი კვლავ დიდძალი მოდის.

# ბეტმან-ჰოლვეგის სიტყვა რეიხსტაგში

### ზავის შესახებ.

**სტოკჰოლმი.** მაისის 2. ვოლფის სააგენტო იტყობინება, იმპერიის კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა რეიხსტაგში ზავის შესახებ სიტყვა სთქვა. აი ეს სიტყვაც: ეს არის ეხლა დადგენით ჩვენი სამხარ მიზნების შესახებ განმარტება მოითხოვოთ. ასეთი განმარტება ეხლა ჩვენი ქვეყნის ინტერესს არ შეეფერება. ამიტომ თქვენ შეკითხვას არ მივიღებ (ცენტრის დასტური). 1915 წ. ზამთრიდან მოყოლებული დაჟინებით ითხოვთ, რომ ჩვენი სამხარი მიზნები განგიმარტოთ. ამაში რომ ჩემთვის ძალა დაგეტანებინათ, ხმები გავრცელდა, ვითომც მე ცალკე პარტიების აზრისა ვიყო. ამას მე გადაჭრით უარსა ვყოფ. მთავრობა მონაწილეობას ვერ მიიღებს სამხარ მიზანთა სახალხოდ მსჯელობაში. გაბრთხილებთ, რომ თუ მთავრობა სდუმს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ ამ სიჩუმიდან მისი პოზიციის შესახებ რამე დასკვნა უნდა შეჰქმნათ. რის თქმაც შეიძლებოდა, მე აქ გულახდილად გითხარით, მეტი არა შემიძლია რა. ჩემი ნათქვამი საკმაოდ ცხადი იყო, და ამიტომ შეუძლებელია, რომ მთავრობის პროგრამა და პარტიების პროგრამა ერთმანეთს დაუკავშირდეს. ამას კი ზოგი უკვე ეცადა. იმავე ძირითად საფუძვლებზე ვდგევარ ეხლაც. ეს საფუძვლები აღნიშნული იყო სამშვიდობო წინადადებაში, რომელიც 1916 წლის დეკემბრის 12—1 (ახალი სტილით) გამოვაქვეყნეთ ის აზრი, ვითომც ზავის საქმეში ჩვენ და ჩვენი მოკავშირენი ერთმანეთს ვერ ვეთანხმებოდეთ ზღაპარია (დასტური ცენტრში). მესმის ზავის პირობების შემუშავებაში მონაწილეობის სურვილი ხალხისა, მე კარგად მესმის, მაგრამ ჩემთვის ამ საკითხში ერთი რამ უნდა იყოს სახელმძღვანელო: ომი მალე და სასურველად დამთავრდეს (დეპუტატები დასტურს აძლევენ). საერთო მდგომარეობა ძალას მატებს თავ დაჭერილად მოვიქცე და შეიდემანი და რეზიკი ჩემს გზას ვერ ამაცდენენ. ჩემს გზას შეიდემანის ის სიტყვა ვერ ამაცდენს, სიტყვა რევოლიუციის შესაძლებლობისა, რომელიც შეიდემანმა ეხლა წამოისროლა, ეხლა, როდესაც მდინარე ენზე, არრასთან ბუკ ნალარის ხმა გაისმის (მხურვალე ტაში). გერმანეთის ხალხი ჩემთან ერთად ამ სიტყვას არ დაუჯერებს. ვერც რეზიკის ნათქვამი, ვითომც მე სოციალ-დემოკრატების ხელში ვიყო, ჩემს გზას ვერ

ამაცდენს. მე არც მემარჯვენე და არც მემარცხენე პარტიებს არ დავემორჩილები და მიხარის, რომ ამის თქმა შემიძლიან (ძლიერი ტაში). თუ ვისმეს დავემორჩილები, მხოლოდ ჩემს ხალხს. მე მისდა სამსახურად ვარ მოწვეული. იგი იბრძვის ერის არსებობისათვის. იგი ენდობა იმპერატორს და იმპერატორი კიდევ მას. ჩემს თავდაჯერილობას კი ხალხიც მიხვდება და რაიხსტაგის უმრავლესობაც. უკვე ერთი თვეა, რაც ჩვენს დასავლეთ ასპარეზზე ჩვენი ჯარი მტრის იერიშებს მედგრად უერიგდება და სიკვდილისა არ ეშინიან (მოწონების ხმები).

საფრანგეთი და ინგლისი კი ზავისათვის სრულებით არა სცდილობენ. არც დაპყრობით პოლიტიკაზე და ჩვენს ეკონომიურ განადგურებაზე იღებენ ხელს, რომელმა მთავრობამ ამოიღო შარშან ზამთარში ხმა შერიგებაზე. განა ლონდონისა და პარიზის მთავრობებმა? განა ლონდონიდან არ გვესმის ხმა: ომის მიზნად დღესაც ის გვაქვს, რაც ომის დასაწყისში გვქონდაო? განა ამისთანა სახიფათო მტერს შევირიგებთ, რომ ჩვენს მოთხოვნილებაზე ხელი ავიღოთ? საქმე კი მხოლოდ ამაშია. განა შემიძლიან მტერს ვუთხრა: მტერო, რაც უნდა მოხდეს, ხელს არ გახლებ და შენ კი უშიშრად შეგიძლიან შენი ბედი ეძიო-მეთქი!? განა ისე უნდა მოვიქცე, რომ საზავო პირობათა მხოლოდ ერთი ნაწილი ერთ ფორმულით გამოვსახო და დანარჩენი კი უკუ-ვაგდო, უარ ვყო ჩვენ შვილთა სისხლით მოპოვებული უპირატესობანი?! არა, მაზე ხელს ვიღებ (მოწონების ხმები). ასეთი რამ ჩვენი ხალხის გმირობის უმადურობა იქნება. ასეთი პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მავნებელია და მაშვლის მომავალზე ხელის აღებაა. ან ხომ არა გგონიათ, რომ დაპყრობის პროგრამა უნდა ვაღიარო? არა, ამის უარსაც ვამბობ. არა დაპყრობისათვის დავიწყეთ ომი და თითქმის მთელს ქვეყანას ვეომით, არამედ იმისთვის, რომ ჩვენი არსებობა უზრუნველ ვყოთ და ჩვენს ხალხს მომავალში მშვიდობა მოვუპოვოთ. ვერც დაპყრობის პროგრამა და ვერც მისი უარყოფა ჩვენ გამარჯვებას და ომის გათავებას ვერ მოგვცემს. ამისთანა გზებს რომ დავადგე, მტერ ხალხის ბატონებს შეძლებას მივცემ, თავიანთი ხალხი მოატყუონ და ომი დაუსრულებლივ აწარმოვონ. ასეთი რამ უმადურობა იქნებოდა იმათთვის, ვინც ეხლა არრასთან სისხლსა ჰღვრის. ხოლო ეხლა რუსეთს ეტყობა, მას არავითარს ძალადობითი დაპყრობა, მაგრამ რა ვიცი, მოახერხებს იგი გავლენა იქონიოს თავის მოკავშირეებზე? ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისი მოკავშირეებთან ერთად სცდილობა რუსეთი ისევ ჩაითრიოს და მის სურვილს, ომის მალე გათავებაზე, ხელი შეუშალოს. მაგრამ, თუ რუსეთს მართლა სურს დაპყრობაზე ხელის აღება, მაშინ ჩვენ იმისთანა მოთხოვნილებებს ვერ წარვუდგენთ, რასაც მისი განვითარების შეფერხება შეუძლიან, რაც თავისუფლებისადმი მისწრაფებას არ შეეფერება და რაც კეთილ-მეზობლობას ხელს შეუშლის. ვიცი, რომ შეგვიძლიან ერთმანეთს ისე მივუხვდეთ, რომ ერთმანეთით ნაწყენნი არ ვიყვნეთ. ჩვენი მდგომარეობა ბრძოლის ველზე ისეთია, როგორიც არას დროს არა ყოფილა. ჩვენი დასავლეთის მტრები, დიდი დანაკლისის მიუხედავად, ვერას გამხდარან. ჩვენი წყალქვეშები თანდათან უფრო უკეთესად ჰმოქმედებენ (მოწონების ხმები). მგონია, რომ ნეიტრალი სახელმწიფოებიც მიხვდნენ, რომ მათ ინტერესებს იმდენად ვუფრთხილდებით, რამდენადაც კი ეს ჩვენს ინტერესებს შეეფერება. დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ომის სასურველ დასასრულს ვუახლოვდებით, ვუახლოვდებით იმ დროს, როცა მტერს ჩვენს საზავო პირობებზე დავუწყებთ მოლაპარაკებას. ამ პირობებში კი ჩემსა და ომის ხელმძღვანელთა შორის სრული თანხმობაა (მოწონების ხმები). ჩვენ ისეთ ზავს ვეძიებთ, რომელიც შეძლებას მოგვცემს იმის აღშენება დავიწყოთ, რაც ომმა დაგვინგრია, რათა დანთხეულ სისხლზე აღსდგეს სახელმწიფო და ხალხი ძლიერი, დამოუკიდებელი და უშიშარი. ეს იქნება მშვიდობიანობის და ნაყოფიერ მუშაობის საფუძველი (ხანგრძლივი, ძლიერი ტაში).

## გაზეთებიდან.

**გერმანელთა ზავის პროგრამა.**

ლოზანაში ამას წინედ გრუმბეჰის კრებული „Bas annexionnslisene Beutschiand" გამოვიდა. ამ საინტერესო კრებულში მოთავსებულია რუსეთისათვის ერთი სრულიად უცნობი დოკუმენტი. ეს არის გერმანულ ზავის პროგრამა, შემუშავებული გერმანელ მწერლის ა. ოლტცელტ-მეველინის მიერ და მოთავსებული მის საგულისხმიერო შრომაში: „როგორ უნდა დაისაჯნენ მსოფლიო ომის დამნაშავენი?".

„რუსეთი თუნდ სასტიკადაც რომ დავამარცხოთ, მას ისეთი შურისძიების სურვილი მოედება, რომ ჩვენ იარაღს ვერ ავიყრით. იძულებულნი ვიქნებით იმ არასასიამოვნო ლოზუნგს ვუერთგულოთ, რომელიც გვეუბნება—ომისათვის მზად იყავითო. ასე იქნება მუდამ, თუ არ ვეცდებით და რუსეთს სახელმწიფოებზე ყოველივე გავლენას არ მოვუსპობთ. რუსეთს ბალკანეთზე და მაშასადამე ხმელთა შუა ზღვაზედაც სურს იბატონოს. ამიტომ, სამშვიდობო პირობების უმთავრესი მუხლი ის უნდა იყოს, რომ რუსეთს აზიურ სახელმწიფოს ხასიათი შერჩეს და დიდი სახელმწიფოს მისი ძლიერება უნდა მოისპოს. ამას კი მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ, თუ რუსეთს აღმოსავლეთის იმ ნაწილებს ჩამოვაცლით, რომლებიც კულტურისა და სიმდიდრის მხრივ უძვირფასესნი არიან.

ამას გარდა იგი ევროპის ყველა ზღვას უნდა მოვაშოროთ (თეთრი ზღვის გარდა). ამ უკანასკნელ პირობას კი, მხოლოდ ხელ-შეკრულების ძალით ვერ შევასრულებთ. ის საზღვარი, რაც გერმანიამ რუსეთს უნდა დაუთმოს დაახლოვებით ასეთი უნდა იყოს: საზღვრის ხაზი უნდა დაიწყოს კრონშტატიდან, გადაიაროს ბრესტ-ლიტოვსკსა და ტაგანროგზე და ბაქოში უნდა ჩავიდეს. ამაში, რასაკვირველია, ფინეთიც უნდა მოჰყვეს. ამ რიგად ჩვენ უნდა მოვთხოვოთ რუსეთს მოსპოს ციხეები, მეტადრე საზღვაო და ხელი აიღოს: ფინეთზე, ესტლიანდიაზე, კურლიანდიაზე, ბესარაბიაზე, კავკასიაზე, თავრიდის ნახევარ კუნძულზე, უკრაინის და სამხრეთ რუსეთის ნაწილებზე.

ეს პროვინციები რუსეთის ტერიტორიის ერთს მეხუთედს შეადგენს, მაგრამ მის მოსახლეობის ერთ მეოთხედს შეიცავს. ეს ნაწილი საუკეთესო და უმდიდრესი ნაწილია რუსეთისა.

# რუსეთი და უცხოეთი

დეპეშები.

**გზის დაზიანება.**

**დონის როსტოვი.** მაისის 2. კავკავის რკინის გზიდან რვა ვერსის დაშორებით წყალმა ხიდი წაიღო, ამის გამო სწორე მიმოსვლა შეწყვეტილია. კავკასიელი მგზავრები იძულებული არიან აზოვიდან გემით იმგზავრონ. მატარებლები სხვა და სხვა სადგურებზე 15—29 საათით ჩერდება. ბატაისკის სადგური ბარგით და მგზავრებით სავსეა.

**დუნაის ექსპედიციის გაუქმება.**

**კიშინიოვი,** მაისის 3. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან დუნაის ექსპედიციის გაუქმების შესახებ. ეს ექსპედიცია დაარსებულია ადმირალ ვესელკინის მიერ, დამაარსებელთ 10 000.000 მანეთი დასჯდომიათ. დღეს მისი ქონება და საქმეები ახალ ორგანიზაციას გადაეცემა—სახელდობრ დუნაის სატრანსპორტო ფლოტილიას, რომელსაც ადმირალი გენიუკოვი ჰხელმძღვანელობს.

**ყაჩაღები.**

**კიშინიოვი.** მაისის 3. აკერმანის და ბენდერის მაზრებში ყაჩაღები გამოჩნდნენ სოფ. ტოლმაზებში ვერაგულად მოჰკლეს ჯარისკაცის ცოლი, მოსამსახურე და ქალ-ვაჟი. სიკვდილი არ აკმარეს და მათ გვამებსაც შეურაცხყოფა მიაყენეს. სოფ. სპეიაში ქურდობის ნიადაგზე ორი მოჰკლეს.

**კოროლენკო.**

**პოლტავა,** მაისის 2. საზაფხულო დასასვენებლად კოროლენკო სოფ. ხატკაში გაემგზავრება.

**საბერძნეთი.**

**ათინი,** მაისის 1 საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეთა ელჩების თანახმად ზოგიერთ პუნქტებში ფოსტა ტელეგრაფის კანტროლი დააწესა.

**ლონდონელი მუშები.**

**ლონდონი.** მაისის 3. მუშათა არეულობას თანდათანობით ბოლო ელება. მუშაობა კვლავ განახლდა.

**შიმშილობა ფერგანში.**

**კოკანდი.** მაისის 2. ფერგანის დეპუტატთა საოლქო საბჭო დეპეშით ატყობინებს მიწადმოქმედების მინისტრს, პეტროგრადელ დეპუტატთა საბჭოს, თურქესტანის საბჭოს და მთავრობის კომისარს ტაშკენტში, რომ ფერგანში უკვე დიდი სიმშილობაა. რამდენიმე ადგილას დამშეულთა აჯანყება მოჰხდა. მაზრებში სულ უდიდესი წვლილი პურისა—8 მანეთია დღეში. ზოგიერთ მაზრებში ფქვილი სულ არ არისო. სამარშრუტო მატარებლებია საჭიროო.

# უკანასკნელი დეპეშები

**როგორც გამოირკვა, კიევის მონარქიულ მანიფესტაციებში დეპუტატ შულგინის ცოლიც იღებდა მონაწილეობას.**

—

**სახალხო თავისუფლების პარტიის ცენტრალმა კომიტეტმა დაადგინა მილიუკოვს სახალხო განათლების მინისტრად დარჩენა ეთხოვოს, ამ შემთხვევაში მანუილოვიც გადადგება.**

—

**სოციალისტები—რუსეთის ელჩის იზვოლსკის პარიზიდან გამოწვევას თხოულობენ.**

—

**გუშინ საზონოვი ლონდონში მიემგზავრებოდა, მაგრამ სადგურზე თავდვოვის მოციქულმა სთხოვა, გამგზავრება სხვა დღისთვის გადადო.**

# ქრონიკა

## კავკასია

◆ **აზრუმის ამბები.** აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით 15 აპრილს საღამოს ხუთი საათიდან გამოწვეულ იქმნა მთელი გარნიზონი და მოხდა ჩხრეკა და დაპატიმრება. აპატიმრებდნენ მუსულმანებს, განურჩევლად წლოვანებისა. ჩხრეკამ 17 აპრილამდე გასტანა. დატუსაღებულია 1500 კაცამდე. ბევრი უკვე რუსეთისაკენ გაგზავნეს. მათმა დატუსაღებამ დიდათ შეაფერხა მუშაობის საქმე, როგორც რკინის აგრეთვე სამხედრო გზებზე. ეს ერთი კვირაა აზრუმში ძლიერ აცივდა, ყოველდღე სეტყვა მოდის.

◆ **სასოფლო და საქალაქო აღწერა.** საბოლოოდ გადაწყვეტილია მოხდეს სასოფლო და საქალაქო აღწერა მთელს რუსეთში. სასოფლო აღწერა უნდა დასრულდეს 15 აგვისტომდე, ან 1 სექტემბრამდე, საქალაქო აღწერა უნდა დაიწყოს მაისში და უნდა დასრულდეს არა ადრე ივნისის პირველ რიცხვებისა. სასოფლო აღწერის მიზანი სამია: 1) სასურსათო საკითხის გამორკვევა; 2) სამუშაო და საკლავ საქონლის რიცხვის გამორკვევა და 3) საადგილ-მამულო საქმის გამორკვევა. საქალაქო აღწერის საგანი ორია: 1) სასურსათო კამპანიის გეგმის შეწუშავება და 2) მასალების შეგროვება დამფუძნებელ კრებისთვის. კავკასიაში აღწერის მოხდენა მინდობილი აქვს სასურსათო საქმის მთავარრწმუნებულთან არსებულ ცენტრალურ სასტატისტიკო ბიუროს. ამავე ბიუროს უფლება აქვს აღწერის პროგრამა ადგილობრივ პირობათა და საჭიროების მიხედვით შესცვალოს. ამ აღწერის გამო ამ დღეებში თბილისში გაიმართება კავკასიის სტატისტიკოსთა ყრილობა საპროგრამო და საორგანიზაციო საკითხების განსახილველად. ბიურო უკვე შეუდგა მუშაობას და მიწერ-მოწერა გამართა ადგილობრივ სასურსათო კომიტეტებთან და სხვა სათანადო დაწესებულებებთან. აღწერის დროს შეგროვილი მასალა დამუშავებულ იქნება ადგილობრივ, სადაც ეს არ შეიძლება—თბილისში.

◆ **სამხედრო მატარებლების უპირატესობა.** რკინის გზაზე ან ჟამად დიდი მოძრაობაა. მრავალი სალდათი სახლში მიდის. მატარებლებზე უადგილობის გამო ხშირად უწესოება ხდება. ამას გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველმა შემდეგი განკარგულება გამოსცა: „მოსალოდნელ ექსცესების თავიდან ასაშორებლად, მოვუწოდებ რკინის გზაზე მოსამსახურეთ არავითარი კამათი არ გამართონ სალდათებთან. სალდათების მატარებელს უპირატესობა მიეცეს სხვა სამგზავრო მატარებლებთან".

## საქართველო

◆ **ბენია ჩხიკვიშვილი.** გურიის გლეხთა მოძრაობის ბელადი ბენია ჩხიკვიშვილი ციმბირიდან უკვე ჩამოსულა კავკავში. მალე სამშობლოში დაბრუნდება.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ თავის წარმომადგენლებად გადმოხვეწილთა კომისარიატში აირჩია მ. მაჩაბელი და პ. გოთუა.

## თბილისი.

◆ **ქალაქის საელექტრონო სადგური** დიდ გაჭირვებას განიცდის: ერთი მანქანა გაფუჭდა და იმის შეკეთება შეუძლებელი გახდა თბილისში, რადგან მანქანის ნაწილების გამკეთებელი აქ არავინ აღმოჩნდა.

◆ **პოლკოვნიკ ზდანოვსკის,** თბილისის ნაპოლიცმეისტრალს, ნება მისცეს თბილისში 15 მაისამდე დარჩეს.

◆ **ჭიდაობის მოსპობა.** ვინაიდან ჭიდაობის გამო თბილისის ორივე ცირკში ხშირად უწესოება ხდება, მილიციის უფროსის მოხსენების თანახმად, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს ცირკებში ჭიდაობა მოსპოს.

◆ **ღვინის აკრძალვის გამო.** საფრანგეთის კონსულმა განცხადება მიართვა ქალაქის აღმასრულ კომისიას, რომ ღვინის აკრძალვის გამო ახალშენი ფრანგები უღვინოთ რჩებიან და ნება დართეთ, მათ მაინც მიჰყიდონ ღვინოვო. განცხადება ჯერჯერობით უპასუხოდ არის დატოვებული.

◆ **კოოპერატივთა შორის.** ორშაბათს, მაისის 8-ს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის სასურსათო კომიტეტის ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა 4), დანიშნულია თბილისის კოოპერატივთა კავშირის მონაწილეთა კრება. თითო კოოპერატივმა ორ-ორი დელეგატი უნდა გაჰგზავნოს კრებაზე. კრების საგანია: 1) არჩევა კავშირის პრეზიდიუმისა, 2) სანიხრო კომისიაში და ქალაქის სასურსათო კომიტეტში წარმომადგენლების არჩევა და 3) მიმდინარე საქმეები.

◆ **გაფიცვა.** რამდენიმე დღე იქნება, რაც თბილისში გაფიცული არიან ხუროების 26 ქარხნის მხერხავები. სულ 70 კაცია გაფიცული, რომელნიც ხელფასის მომატებას თხოულობენ. ქარხნის პატრონებმა უთანხმოების მოსარიგებლად მიმართეს წვრილ ვაჭართა კავშირის ბიუროს. მუშებიც თანახმანი გახდნენ ამ ბიუროს შუამავლობაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბიურომ მაინც ვერ მოახერხა მათი ერთმანეთშორის მორიგება.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტის** სანიხრო კომისიამ შემდეგი ფასები დააწესა თევზეულობაზე: გირვანქა ზურგიელი 2 მ. 30 კ., დონის ზურგიელი 3 მ. 50 კ., ზუთხის დოში 2 მ. 10 კ., ჰიპა 80 კ., უბრალო დოში 1 მ. 90 კ. იანი 1 მ. 50 კ., ხიზილალა ნიხრს გარეშე დარჩა. კომისიამ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ სამრეწველოებში თევზი თანდათან იაფდება, დაადგინა ყოველ 2 კვირაში გადაისინჯოს თევზის ნიხრი.

◆ **ტუსაღების მოწოდება.** მეტეხის ციხის ტუსაღთა უხუცესებმა შემდეგი მოწოდება გამოუშვეს: „ჩვენ, მეტეხის ციხის პატიმრები ჩვენს თავს მოვალედ ვრაცხთ მადლობა მოვახსენოთ დროებით მთავრობას იმ მცირე ამნისტიისათვის, რომელიც 17 მარტს გამოსცა მან. ამასთანავე ვაცხადებთ: თბილისში უნდა მოისპოს ბოროტმოქმედება საკუთრების წინააღმდეგ და აგრეთვე მექრთამეობა. ვუცხადებთ სხვისი საკუთრების მოტრფიალეთ, მექრთამეებს, მეჯიბეებს, პორტმანის გამგდებთ, სახლების გამტეხთ და სხ., რომ თუ ისინი ციხეში მოიყვანეს, გარდა კანონიერ სასჯელისა, ჩვენი მხრივაც დაისჯებიან, ვინაიდან ჩვენ მათ ზიზღით დავუწყებთ ყურებას და ბოიკოტს გამოუცხადებთ. თავს იმით ვერავინ გაიმართლებს, რომ სამუშაო არ მქონდაო. თავისუფალმა კაცმა თუ სამუშაო ვერ იშოვა, მივიდეს ციხის პატრონატთან და სთხოვოს სამუშაო. ნუღარ დადიხართ საყომარბაზო სახლებში. გაეფიცენით ქურდობას. დასტოვეთ უსაქმოდ გაგიევე, გამომძიებელი და პროკურორი".

◆ **ხელოსანთა კლუბის მოსამსახურეებმა** საკითხის გადაწყვეტას არ მოუცადეს და გაიფიცნენ. სხვაგან მუშაობა არ შეწყვეტილა. კრებას თავმჯდომარეობდა ჯანელიძე. კრებამ ვერა გადასწყვიტა რა. ჯანელიძის წინადადებით, კრება 7 მაისს კიდევ იქნება, საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

◆ **მუშათა დეპუტატების საბჭოს** მუშათა კომისიაში. ამ კომისიის თაოსნობით, მაისის 2-ს, სასახლეში კრება ჰქონდა კლუბების, რესტორანების და სხვათა მოსამსახურეების საპროფესიო კავშირების გამგეობას. კრებაში მონაწილეობა მიიღეს კლუბების მამასახლისებმაც. მამასახლისთა წინასწარ კრებამ დაადგინა დააკმაყოფილოს კლუბების მხოლოდ დაბალ მოსამსახურეთა სამართლიანი მოთხოვნილებანი. დანარჩენი მოთხოვნილებანი მამასახლისთა საბჭომ ვერ დააკმაყოფილა, რადგანაც ეს მოთხოვნილებანი, რომ დაკმაყოფილებულ იქმნენ, კლუბებს არსებობა გაუჭირდება და სრულებითაც დაიკეტება.

◆ **ნიკო ელიავა და ათაბეგოვი.** მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ თავის გუშინწინდელ კრებაზე დაადგინა სძაგულ და აღმაშფოთებელ დემაგოგიათ ჩათვალოს ადგილობრივი ბურჟუაზიის წარმომადგენლების გამოსვლა, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისა და [illegible] ელიავას წინააღმდეგ. საბჭო დარწმუნებულია, რომ ამ პლუტოკრატიის გამოსვლას სათანადო პასუხს გასცემს ქალაქის დემოკრატიული ნაწილი მომავალ არჩევნების დროს. საბჭომ ამასთანავე დაადგინა წინადადება მისცეს ბირჟის კომიტეტს, რომ გამოწვეულ იქმნას ათაბეგოვი სასურსათო კომიტეტიდან, როგორც დამწყები ამ ინციდენტისა.

მღვდელი დავითი, იონა, სამუელი, გრიგორის ძენი ცომაიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი მამის დეკანოზი

**გრიგორი იოსებ ძე**

**ც ო მ ა ი ა ს ა ს.**

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 6-ს მაისს, დილის 10 საათზე სოფელ კვათანას, კვათანის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში.

◆ **ლადო დარჩიაშვილის ქვრივმა** ელენემ ყველა დაუბეჭდავი ნაწერები თავისი ქმრისა, გაზ. „ალიონი"-ს რედაქციას გადასცა.

◆ **სემინარიელები და ბენეშევიჩი.** როგორც ვიცით თბილისის სემინარიის მოწაფეებმა პროფ. ბენეშევიჩს რეზოლიუცია წარუდგინეს, ამ რეზოლიუციით რამდენიმე მასწავლებლის დათხოვნას მოითხოვენ. პროფესორმა ბენეშევიჩმა განიხილა რა ეს რეზოლიუცია, სემინარიის მოწაფეები რეზოლიუციის რამდენიმე მუხლის განსახილველად მოიწვია.

◆ **ნაეგზარხოსალი პლატონი** პეტროგრადში ოქტომბრის დამლევამდე დარჩება, იმ დრომდე, ვიდრე სინოდის სხდომები დამთავრდებოდეს. დროებით მის მოვალეობას ბაქოს ეპისკოპოზი გრიგოლი აასრულებს.

◆ **შაბიამანი და გოგირდი.** თბილისის მეღვინეობის და მევენახეობის საგუბერნიო კომიტეტმა სერგიევის ქუჩაზე № 3 სამკურნალო ნივთების საწყობი გახსნა. ამ საწყობიდან აპრილის განმავლობაში მარტო შაბიამანი 86 ათასი მან. გაიყიდა. საწყობში ყოველივე სამკურნალო მასალა ბლომად იშოვება. საწყობი ღიაა დილის 8—3 საათამდე და საღამოს 5 – 6 საათამდე.

◆ **მოწაფეების საღამო გორში.** კვირას, აპრილის 23-ს, სავაჟო გიმნაზიის ქართველ მოწაფეთა წრემ საღამო გამართა. ითამაშეს ილ. ჭავჭავაძის „გლახა ჰქიაშვილი". წარმოდგენის წინ ივ. ბენუკიშვილმა მოხსენება წაიკითხა თამარ მეფეზე და ოქროს ხანა მოკლედ დაახასიათა. მოწაფეებმა წაიკითხეს ლექსები. შემოსავალი 430 მ. ქართველ მოწაფეთა წრეს მოეხმარება.

◆ **მუშათა საბჭო და ქალაქის თვითმართველობა.** დღეს მაისის 6-ს, სხდომა იქნება თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს. სხვათა შორის განსახილველია საკითხი თბილისის ქალაქის თვითმართველობის რეორგანიზაციის შესახებ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ბევრს ქალაქში დემოკრატიამ იმ თავითვე ყურადღება მიაქცია ქალაქის თვითმართველობის დემოკრატიზაციას, თბილისში კი ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე მივიწყებული იყო, სანამ კონფლიქტი არ მოხდა ქალაქის საბჭოსა და სასურსათო კომიტეტებს შორის უკანასკნელთა ხელმძღვანელების ჯამაგირის გამო.

◆ **სურსათი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტს მოუვიდა: 1 ვაგ. ფქვილი, 1 ვაგ. სიმინდი და 173 ფუთი კვერცხი. კომიტეტს აზრად ჰქონდა იმდენი ფქვილი მოეზიდნა მაისში ჩრდილო კავკასიიდან, რომ თიბათვისა და მკათათვისათვის საზრდო შემოენახა, რადგან მომავალ თვეებში მკა დაიწყება ჩრდილო კავკასიაში და სადგურებზე ფქვილის მისატანად ვერავინ მოიცლის. მაგრამ კომიტეტის მეცადინეობამ ვერ გასჭრა და არა თუ ზედმეტი, არამედ სამყოფი ფქვილიც არ მოდის თბილისში. ამ დღეებში თუ ფქვილი არ მოვიდა, თბილისის მცხოვრებნი დიდ განსაცდელში ჩაცვივიან. კომიტეტს აქვს 10 ვაგონამდე სიმინდის ფქვილი და ვისაც შეძენა უნდა კომიტეტს უნდა მიმართოს.

◆ **სამხედრო ბეგარის** მოსახდელად თბილისის სამხედრო უფროსთან მუდამ დღე მიდიან ახალგაზრდები, რომელნიც თავის დროზე არ გამოცხადდნენ და აგრეთვე დეზერტირები. იმათ, ვინც ჯანსაღია, მაშინვე ბრძოლის ველზე ჰგზავნიან, ხოლო ავადმყოფთა შემოწმება დანიშნულია ამა მაისის 6-ს, 8-ს და 9-ს.

◆ **სამკურნალო ადგილების მომწყობთა და ხელის შემწყობთა ყრილობა** გაიხსნება დღეს, მაისის 6, დილის 1 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში, ხოლო გამოფენა კრებისათვის საჩვენებელ ნივთებისა გაიხსნება დილის 3 საათზე, „კრუჟოკის" საზაფხულო ბინაზე.

## ბათუმი

◆ **ბათუმში შესვლის აკრძალვა.** კავკასიის მთავარ სარდლის განკარგულებით კავკასიის შტაბის ნებადაურთველად ბათუმში შესვლა აღკრძალულია.

# თამარობა

**ეპ. ლეონიდის სიტყვა [illegible] დიდუბის ეკლესიაში**

სრულიად საქართველოს თავისუფალი ეკლესიის სახელით სულით და გულით მოგილოცავთ, ძვირფასნო ივერიის ეკლესიის ძენო და ასულნო, ჩვენს უდიდეს დღესასწაულს—თამარ წმიდობას. თამარ მეფე ცხრა თვალა მოკაშკაშე მზე იყო, არის და ამადვე დარჩება სამუდამოდ საქართველოსთვის. თამარის სახელის გაგონება სიამით უვსებს გულს ყოველ ქართველს. რაც კი რამ სასახელო, თავმოსაწონი და გამოსაჩენი მიგვიღია წინაპართაგან, პოლიტიკურია ეს თუ სოციალური, ეკონომიური თუ კულტურული, ყველაფერს ამას ვაწერთ თამარ მეფეს.

მაგრამ საოცრებაა! უკანასკნელ წლებამდე ჩვენ, ბარელი ქართველები, თვით თბილისის მოქალაქენი, ვერ ვხედავდით ჩვენს მზეს-თამარს, არ ვასრულებდით მის ხსენებას, არ ვიკრიბებოდით, როგორც ამ ჟამს, თამარის სახელის გარშემო. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში და თუ გნებავთ, მეოცე საუკუნის დასაწყისშიც, თამარის სახელი თუ იხსენიებოდა მხოლოდ მთაში, მივარდნილ და დაბეჩავებულ ფშავში. ეს იყო შედეგი უ ვე ანდერძ აგებული და სამუდამოდ დასამარებული რუსეთის ძველი მთავრობის ვერაგული პოლიტიკისა, იმ მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც მოურიდებლად აფათურებდა ხელებს ჩვენისთანა პატარა ერების გულში და ხუნდებს ადებდა მათს ენას, გონებას, სინიდისს, რომელიც აწარმოებდა ერთა გადაშენების და გადაგვარება-გადამიხინჯების საზიზღარ საქმეს. მაგრამ წყვდიადსაც დასასრული ჰქონია, ადრე თუ გვიან სიბნელეც აუცილებლად გაბნეულა. იქუხა თავისუფლებამ განახლებულ რუსეთში და მისმა მეხმა თვალის დახამხამებაზე მტვრად აქცია მონობის ბორკილები, ყველამ ენა აიდგა, ყველა გაიმართა წელში და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. ახლად აღმოცენებულ თავისუფლების წყალობაა, რომ დღეს ასეთი ხალისით და აღფრთოვანებით ვზეიმობთ საქართველოს დაუჭკნობელი შვენების—დედა თამარის—ხსენებას. შესანიშნია, რომ მეფე თამარის ხსენება ცოცხლდება ჩვენში იმ დროს, როდესაც საერთოდ მეფეებმა დაკარგეს თავიანთი სხივი, დიდება და ბრწყინვალება, როდესაც მეფეთა ტახტი თითქმის ყველგან შეირყა და დაიმსხვრა. რას ნიშნავს ეს ჩვენი დღესასწაულობა? იქნება იგი შეუფერებელი და შეუსაბამოა დღევანდელი მომენტისა? იქნება ასეთი ჩვენი საქციელი უკან გადადგმული ნაბიჯია? არა; ჩვენი ზეიმობა სრულებით აზრიანი და საბუთიანია. მეფეც არის და მეფეც. ხალხის სიბრძნე ამბობს „გულს გული მისწვდება და სულს სული იცნობსო". თამარ-მეფეს გული უცემდა მხოლოდ ქართველი ერის ბედნიერებისათვის, თამარ-მეფე სუნთქავდა და ცოცხლობდა მხოლოდ და მარტოოდენ იმისთვის, რომ საქართველო აეყვავებინა, ქართველი ერი დაეწინაურებინა, თავისი ქვეშევრდომნი აევსო შვებითა და ნეტარებით. ერმა ალღო აართვა თამარის გულისთქმას, ქართველობას გულზე მოხვდა თამარის დედობრივი ზრუნვა, სულით იგრძნო უსაზღვრო ქრისტიანობა(?) თამარისა და ამის გამო სათაყვანებელ ხატად ჩაისვენა სამუდამოდ გულში თავისი მეფის სახე, ფიანდაზად დაეგო მას და სალოცავად დაუდო ჩამომავლობას მისი ხსენება. თამარისთანა ერის მოსიყვარულე და სამშობლოს ერთგული, შეიძლება, დღესაც არ მოიპოვებოდეს არავინ ქვეყნიერობაზედ და ჩვენი თავის [illegible] იქნებოდა, ჩვენი შეუგნებლობა დამტკიცდებოდა, რომ თავი არ მოგვეწონებინა დღეს ამ სახელით, საჯაროდ რომ არ გამოგვეხატა ასეთი პირისპირ ჩვენს უგულითადეს პატივისცემას.

წმ. თამარმა მოკლე და ნათელი ანდერძი დაგვიტოვა ქართველობას, ანდერძი სულ ორი მუხლისაგან შემდგარი და დაწერილი ჩვენი სამშობლოს პირზე იქ ეთი ძეგლებით, როგორც არის, ერთის მხრით, განსაცვიფრებელი ვარძია, ბეთანია, ოცხი(?) და, მეორე მხრით, უთვალავი ციხე-კოშკები, ხიდები, გზატკეცილები, გრანდიოზული არხები და სხვა. ამ ანდერძით წმ. თამარი უბძანებს თვითეულ ქართველს: გიყვარდეს ყველაზე პირველად ცისა და მიწის გამჩენი ღმერთი, ნურაფერს ნუ დაიშურებ მისთვის და იცხოვრე მისდა სასახელოდ, მისდა საამოდ, მისდა სადიდებლად და, მეორე მხრივ; მტლად დაეცი, თავს შემოევლე, ენაცვალე, თვალი ჩინად აღიარე და სიცოცხლე შესწირე სამშობლოს, შენი ქვეყნის მთლიანობას, აყვავებას, კეთილდღეობას და თავისუფლად არსებობას. ამ ორს დებულებას ნურასოდეს ნუ ჩამოაშორებ ერთიმეორეს, თორემ, როგორც ყოველი ცალმუხლი კაცი საპყარი, მახინჯი და სხვის სარჩენია, ისე უღვთო, ან მამულის უსი-

ყვარული ადამიანი დარჩება მახინჯ და ყველასათვის გამოუსადეგარ არსებად. ასეთია ანდერძი დიდი თამარ-მეფისა და ვისაც მისი პიროვნება გვიღირს რამედ, ეს ანდერძიც ამოჭდეული უნდა გვქონდეს გულისფიცარზედ, ეს ანდერძიც საღმთო მცნებად უნდა გვქონდეს მიღებული ცხოვრებაში.

თამარის დროის საქართველო იყო უფლება-მოსილი და დამოუკიდებული, განათლებული და მდიდარი ქვეყანა. ჩვენდა საბედნიეროდ ჩვენი ქვეყნის განათლება არც დღეს არის დავიწყებული. ჩვენს სასიქადულო და საამაყო მანდილოსნებს მიზნად დაუსახავთ აღუზარდონ სამშობლოს შეგნებული მასწავლებელი ქალები და ამ მიზნით იგინი აგროვებენ დღეს ყულაბებით შეწირულებას მათ მიერ დაარსებული ქალთა სემინარიის საშუალებათა გასაძლიერებლად. ვინც ნამდვილი პატივისმცემელია წმ. თამარისა, ის გვერდს არ აუხვევს დიდად პატივცემულ მანდილოსნებს და ხვედრი წვლილის გაღებით გაუქრობელ სანთელს აინთებს საქართველოს განათლების ეროვნულ შანდალზედ.

როგორც მოგახსენეთ, თამარის დროის საქართველო იყო დამოუკიდებელი, თვითარსი და თავისუფალი. თუ გვსურს თამარის სულის გახარება, უნდა ზვარაკებად შევეწიროთ დიდი და პატარა და კვლავ შევმოსოთ სამშობლო სანატრელი თავისუფლებით. ღმერთო, გვაშორე მონობა და დაუყოვნებლივ მოჰბერე შენი მმოსავ ქართველს ერს ხელმწიფებრივი თავისუფლება!

ძმებო და სულიერო შვილებო! ამ ტაძრის ეზოში განისვენებენ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილები, რომელნიც მსხვერპლად შეეწირნენ მამულის განთავისუფლების ქადაგებას სიტყვით და საქმით—დიმიტრი ბაქრაძე, დავითი და ეკატერინე სარაჯიშვილები, გოგებაშვილი, ცხვედაძე, ჯორჯაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვები. მივიდეთ მათ წმიდა საფლავებზე და ჩავსძახოთ, რომ აღსდგა საქართველოს ეკლესია და ჩქარა აღსდგება მთლად საქართველოც!..

## დამფუძნებელი კრების სამზადისი

დროებით მთავრობამ დაარსა იურიდიული კომისია, რომელიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონის შესადგენად საკითხებს ამზადებს. ამ კომისიამ შეიმუშავა დაახლოებითი ნუსხა იმ საკითხებისა, რომელიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონს შეეხება. ნუსხა უკვე დაეგზავნა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც საარჩევნო კანონის შემდგენელ კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ. კომისია მაშინ დაიწყებს მუშაობას, როდესაც ორგანიზაციები მისთვის წევრებს აირჩევენ. მინისტრთა თავმჯდომარის მიერ უკვე დაეგზავნათ ორგანიზაციებს შესაფერი წერილები. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც უპარტიო ორგანიზაციები, ისე პარტიულნი. პირველთა რიცხვში არიან: მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო, სრულიად რუსეთის კოოპერაციათა ყრილობის საბჭო. გლეხთა დეპუტატების საბჭო და გლეხთა შეერთებული კავშირი, მეორეთა რიცხვში არიან შემდეგი პარტიები (მხოლოდ მათი ცენტრალი ორგანოები): ნაციონალი პროგრესისტები, ცენტრი, „ოქტომბრისტები-ზემცელები“, მემარცხენე ოქტომბრისტები, პროგრესისტები, სახალხო თავისუფლების პარტია, შრომის ჯგუფი, ს.-დ. (ამ პარტიების სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტში თავიანთ წარმომადგენლები ჰყავთ), სოც.-რევოლუც., სახალხო სოციალისტები და ბოლშევიკები (ამათ სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტში წარმომ დგენელნი არა ჰყავთ.) პარტიათა გარდა კომისიაში მოწვეულნი არიან აგრეთვე ეროვნული ჯგუფები. დასავლეთის პოლონელები, უკრაინელები, ებრაელები, ლატიშები, ესტონელები, ქართველები მაჰმადიანები და სომხები. ამათ გარდა კომისიაში მოწვეულ არიან აზიის რუსეთის მცოდნე პირები. პარტიები და ჯგუფები თითო წარმომადგენელს გაჰგზავნიან, მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოები ოთხ-ოთხს, დანარჩენები ორ-ორს. ამ არჩეულ პირთა გარდა, კომისიაში მონაწილეობას მიიღებს მთავრობის მიერ დანიშნული 10 კაცი, 9 საარჩევნო სამართლის მცოდნე, ერთიც სტატისტიკოსი. ამათ მთავრობა მალე დანიშნავს, ასე რომ კომისიის მუშაობა ამ ორ კვირაში დაიწყება. კომისიაში 41 წევრი იქნება. დამფუძნებელ კრების არჩევანი უნდა მოხდეს საერთო (განურჩევლად სქესისა), პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით.

აი ის საკითხები, რომლებიც კომისიამ უნდა შეიმუშავოს.

**აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლების პირობები.**

1) რა წლოვანების ადამიანს შეუძლიან აქტიურ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ეს წლოვანება საერთოდ სამოქალაქო სრულ წლოვანების უნდა უდრიდეს, თუ უფრო მეტი ან ნაკლები უნდა იყოს. სამხედრო პირთათვის უფრო ნაკლებ წლოვანობის დაწესება ხომ არ არის საჭირო, ვიდრე საერთოდ მოქალაქეთათვის? 2) აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებათა პირობანი ერთნაირი უნდა იყოს, თუ სხვა და სხვანაირი? კერძოდ, დამფუძნებელ კრების წევრებად საარჩევნო ოლქმა მხოლოდ თავისი წევრი უნდა აირჩიოს, თუ შეუძლიან, რომ სრულიად რუსეთის მოქალაქეებში ამოირჩიოს თავისი კანდიდატები.

**II. არჩევნების სისტემა.**

1) როგორ უნდა მოჰხდეს არჩევნები, მაჟორიტალ სისტემით, რომლისათვისაც საჭიროა ხმის უმეტესობა დასახელებული პირის ასარჩევად თუ პროპორციალად, რომელიც წარმომადგენლების რიცხვს პარტიათა და ამომრჩეველთა შორის წინასწარ ანაწილებს, იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი ხმა აქვს.

2) ა) თუ არჩევნები მაჟორიტალურ წესისა იქნება, მაშინ როგორ უნდა მოხდეს არჩევნები (თითო კანდიდატს ცალკ-ცალკე უნდა მიეცეს ხმა, თუ საარჩევნო სიით, სიაში მოხსენიებულ კანდიდატებს ერთად).

ბ) საჭიროა თუ არა კანდიდატების წინასწარი დასახელება. გ) თუ ვერც ერთმა კანდიდატმა (ან სიამ) ხმის აბსოლუტი უმრავლესობა ვერ მიიღო, მაშინ, ხელ ახლად უნდა ეყაროს კენჭი ორ იმ კანდიდატს (ან სიას), რომლებმაც უფრო მეტი ხმა მიიღეს, თუ ხელ-ახლად უნდა მოხდეს საერთოდ არჩევნები, მარტო ორისა კი არა, არამედ უფრო მეტის კანდიდატისა (ან სიისა) და არჩევანი მოხდეს შედარებით უმრავლესობით.

3) თუ პროპორციალი არჩევნები იქნება, მაშინ სახელდობრ, როგორი სისტემა უნდა იყოს შემოღებული.

4) ერთ კანდიდატი ერთ ოლქში უნდა იყოს დასახელებული თუ შეიძლება რომ ერთი კანდიდატი რამდენიმე ოლქმა დაასახელოს? თუ ეს შეიძლება, რამდენმა ოლქმა უნდა დაასახელოს? ამასთან ოლქების რიცხვი განსაზღვრული უნდა იყო თუ არა?

**საარჩევნო ოლქები.**

1) რამდენი უნდა იყოს დამფუძნებელ კრების წევრი და მათი რიცხვი როგორ უნდა შეეფერებოდეს ხალხის რიცხვს.

2) რა საერთო საფუძველი უნდა დაედოს საარჩევნო ოლქებად რუსეთის დაყოფას. ეს საკითხი საჭიროა, როგორც ცალ კანდიდატიან და მრავალ კანდიდატიან მაჟორიტალ სისტემისათვის, ეგრეთვე პროპორციალ არჩევნებისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევისათვის როგორ დანაწილდეს რუსეთი საარჩევნო ოლქებად: საფუძვლად გუბერნიები დაედოს თუ არა. საჭიროა თუ არა, რომ ისეთი ქალაქები, რომელთაც თავის მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით უფლება აქვთ საკუთარ წარმომადგენლის ყოლესია, ცალკე საარჩევნო ოლქებად იყვნენ აღიარებულნი.

**სამხედრო პირთა მონაწილეობა არჩევნებში.**

ფრონტზე მყოფ ჯარში როგორ უნდა მოეწყოს არჩევნები. საჭიროა თუ არა, რომ მათთვის ცალკე საარჩევნო ოლქები დაარსდეს. თუ საჭიროა, მაშინ ეს ოლქები რა საფუძვლით უნდა დაარსდნენ და მათ როგორ უნდა შეეფეროს ჯარის ნაწილებს? საჭიროა თუ არა, რომ ჯარისთვის ისეთივე საარჩევნო სისტემა იქმნეს შემოღებული, როგორც მოქალაქეთათვის იქნება (იხ. I განყოფ.) თუ სხვანაირი?

## კორესპონდენცია

### ცხინვალი

აპრილის 27-ს დაბა ცხინვალში მე-116-ე სათადარიგო პოლკის ორმოცდაათი ჯარისკაცი მოვიდა. ეს რაზმი ცხინვალის კომისარის ზასოხაშვილის მოთხოვნილებით მოვიდა. როგორც გადმომცეს, რაზმის მოწვევას დეზერტირებთან ბრძოლა აქვს აზრად. მოსული ჯარისკაცები მომეტებულად სუსტნი არიან. ავადმყოფებიც ურევიან.

ცხინვალელნი ჯარს წითელი დროშებით შეეგებნენ. ერთმა ცხინვალელთაგანმა მიჰმართა მას სიტყვით და, სხვათა შორის, ისიც უთხრა, რომ, თუ 1905 წელს ჯარი ცხინვალში ასაკლებად მოდიოდა, ეხლა იგი მოდის იმ თავისუფლების განსამტკიცებლად, რომელიც მანვე შესძინა ხალხსაო. შემდეგ ილაპარაკა ცხინვალის კომისარმა. ხალხი და ჯარი სიმღერით გაეშურნენ ცხინვალისკენ.

ცხინვალში ყოველივე წყნარად, თანხმობით და რიგზედ მიდიოდა, მაგრამ ბოლო დროს, ზოგიერთი ვაჟბატონების მიზეზით, დაიწყო პარტიული უთანხმოება ქიშპობა, რაც ხალხზედ ფრიად არა-სასურველად მოქმედობს.

**ხოსო**

## მოწაფეთა საღამო ოზურგეთში

24 აპრილს ადგილობრივ თეატრში ქალთა პროგიმნაზიის მოწაფეთა მიერ გამართულ იქმნა საღამო პროგიმნაზიისავე სასარგებლოდ. ეს სასწავლებელი ერთი წელია არსებობს და პირველად გამართა საღამო თავისივე ძალებით.

საღამო დაიწყო ცოცხალი სურათით —„თავისუფლების შეხვედრა“. მოწაფეთა გუნდმა ბიბლიურ კოსტიუმებში გამოწყობილმა ბზის ტოტებით და „ოსანნა“-ს გალობით სცენაზედ გაიარა. მწყობრმა გალობამ, ელექტრონის სინათლეზედ ხელებ აპყრობილმა მოწაფეთა გროვამ, რომელიც ბზის ტოტებს და ყვავილებს უფენდა მომავალს თავისუფლებას, დიდად იმოქმედა საზოგადოებაზე. საზოგადოება ფეხზე წამოდგა და მქუხარე ტაშით დააჯილდოვა სურათის ავტორ-აღმასრულებელნი. შემდეგ წარმოდგენილ იქმნა „მდგმური“, ვოდ. 1 მოქმედებად, „ყვავილთა შორის“ რუსულად და „პეტიკა მოიწამლა“. მოწაფეთა თამაშობა საზოგადოებას ძალიან მოეწონა. საზოგადოების დაჟინებულ თხოვნით სცენაზედ გამოიწვიეს სასწავლებლის გამგე ქ-ნი ორაგველიძე, მისი ამხანაგი მგელაძე და გალობის მასწავლებელი უშვერიძე და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს. წარმოდგენის შემდეგ ბავშვებმა წაიკითხეს რამოდენიმე ლექსი. ამ საღამომ ხელმეორედ დაამტკიცა, რომ ადგილობრივი საზოგადოება არა ჩვეულებრივი სიმპატიით ეპყრობა ქალთა პროგიმნაზიას. მიუხედავად მეტად ძვირი ბილეთებისა დარბაზი გაჭედილი იყო.

სასწავლებლის გამგეებმა სავსებით გაამართლეს საზოგადოების თანაგრძნობა და საზოგადოებამაც სამაგიერო მიუზღო: შემოსავალი არა ჩვეულებრივი იყო—1000 მანეთს გადააჭარბა.

**მგზავრი.**

## ჩვენი ფოსტა

**მარტყოფელ კორესპონდენტს.** გაზ. „ერთობა“-ში (№ 38) წაიკითხავდით მარტყოფის მცხოვრებთა ყრილობის იმ პროტესტს, რომელიც თქვენ მიერ მოწოდებულ ცნობით გახლავთ გამოწვეული (იხ. გაზ. „საქართველოს“ 78 №), რედაქცია საჭიროდ სთვლის, რომ ამ საქმის შესახებ დასაბუთებული განმარტებანი მოგვაწოდოთ.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპიძე.**

გამომცემელი ამხ. **„საქართველო“.**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**ტფილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| კარისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქო-სკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.1* | საღ. |
| ჯულფისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**ტფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| აბ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | | | | |
| თელავიდან | | | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ, |

ექიმი **გ. მ. მუხაძე** იღებს ხადმხტაჭრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. -მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი **მ. გ. ვეფხვაძე** ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკნის ქუჩა, № 19.

დოქტორი მედიცინის **მისე ანთიმოსის ძე ჭალანდარიშვილი** უმფროსი ექიმი ოხ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ველდის ქ. № 3.

ექიმი **მ. დ. წინამძღვრიშვილი** ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი **მ. ი. ვარნაძე** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბეღინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი კბილისა **ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა** იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი **ე. ლ. შალამბერიძე** იღებს საბებიო და საშვილოსნო ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი **ივანე თიკანაძე** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18 ტელეფონი № 11—82.

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი** ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეზე, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა **ახალი აფთიაქი** პროვიზორის ახვლედიანისა

**ექიმი ფონ-ირტელი** (მიხეილოვის პროსპ. 128, კირილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კირილოვის ქუჩიდან, სახლი იშანეზოვისა).

წინკოვის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ელექტროთერაპიისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე. ტელეფონი „914“ და „606“

**შეშხააშხება**

თინათინ გიორგის ასული და დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ, რომ ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი, მათ ძვირფას და დაუვიწყარ შვილის

**ილარიონ (ილო) დავითის ძის ფორაქიშვილის**

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, 7 მაისს, წმ. მარინეს ეკლესიაში (ავლაბარი). წირვა დაიწყება დილის 10 საათზე—პანაშვიდი 12 საათზედ.

## განცხადება

### თბილისის სასტუმროების, მორთულ ოთახების და სხვათა პატრონების ურთიერთ საზოგადოების

## გამგეობა

ამით აუწყებს თავიანთ წევრთ, რომ გაგრძელება საგანგებო კრებისა დანიშნულია კვირას, მაისის 7-ს, დილის ათს საათზედ, ახალ საკრებულოში (ყოფილი ხარფუხისა) მიხეილის ქუჩა, სახლი ბარტისა.

**განსახილველი საგნები:**

რამოდენიმე წევრთა თხოვნა: 1, შესახებ თბილისის აღმასრულებელს კომისიაში დელეგატის დანიშვნისა; 2, შესახებ გამგეობის წევრის ს. ს. გიგიბერიასი გამგეობის წევრობიდან დროებით გადაყენებისა და 3, შესახებ რამოდენიმე მთხოვნელ წევრთა არ მიღებისა.

თავმჯდომარე **ს. ხხირტლაძე.**
საქმის მწარმოებელი **ი. რაზმაძე.**

## სახალხო სახლი

**ორშაბათს, 1917 წ. მაისის 8.**

თბილისის ქართულ დრამ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდ. იქნება **პირველად ქართულ სცენაზე რევოლიუციონური პიესა:**

## ჟან და მადლენა

დრამა 5 მოქ. ოკ. მირბოსი თარ. ნ. შარაბიძისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ა. შოთაძე. ბ-ნნი: ვ აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, შ. დადიანი, ი. ზარდალიშვილი, ი. კახელი, ნ. ჯვარაძე, ი. თარალაშვილი და სხ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია ✦ დასაწყისი საღ.** $8^1/_2$ **საათზე.**

ბილეთები ისყიდება ამ თავითვე თეატრის კასაში. შემდეგი წარმოდ. 15 მაისს.

(3—670—2) ქართველ მსახიობთა ადმინისტრაცია.

**მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.**

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის“ (ავტონომისტთა) გაზეთ

## „ხალხის თავისუფლება“-ზე

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

ივ. გომართელის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც წერილთა თანამშრომლობით დ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

**გაზეთი ღირს:** ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის“ სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба“ I. Имедашвили.

(10—638—3)

## სააავადმყოფო

**სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:**

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საადამდე.**

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპისოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, ძუძუთა და მოსამსახურეთა გაშინჯვა, სისხლის გაშინჯვა სიფილისტიანებისა. სათვალეების შემოწმება.

(100—667—3)

## თევზის მრეწველნი ძმ. ძიძიგურები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საგეჯრო სახლ. „ლ. მაილოვის-მემკ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშონნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

## ქარებს (რევმატიზმის), ნეკრესის თირკმელების (ქაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ“, და მაზი წასასმელი „ატრო“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურადონალისა“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურდონალი“ და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ზეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას. თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გახ. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.


სტამბა „ცხოვრება“ ახლან კუფანელაძისა, ბარათის შესახვევი № 4.